



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს კარლო ჯამბურას

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების,
ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების
კომისიის თავმჯდომარის ვლადიმერი
ალიბეგაშვილის

ქალაქ ლაგოდეხში საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის დროებითი სამუშაო ჯგუფის დასკვნა

დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა ქალაქ ლაგოდეხის ტერიტორიაზე არსებული საპარკინგე ადგილების კეთილმოწყობის გაუმჯობესების შესაძლებლობები.

შესწავლისა და განხილვის შედეგად გადაწყდა, მიეცეს რეკომენდაცია მუნიციპალიტეტის მერიას განიხილოს და შეძლების მიხედვით გადაწყვიტოს ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები:

1. სპორტდარბაზის მიმდებარე ტერიტორიას, 26 მაისის ქუჩის მხარეს შეიწიოს რკინის კონსტრუქცია და გათავისუფლებულ ადგილზე მოეწყოს საქალაქო ტაქსების სადგომი, რაც ხელს შეუწყობს ცენტრალურ მაგისტრალზე ტაქსების დგომის განტვირთვას;
2. სპორტული დარბაზის უკანა ტერიტორია, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებაა, მოსუფთავდეს, დაიგოს ასფალტი და მოეწყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის პარკინგი, რათა განიტვირთოს ავტომობილებისგან მიმდებარე ტერიტორია;
3. პოლიციასთან შეთანხმებით, აიკრძალოს წერეთლის ქუჩაზე ვაშლოვნიდან ჩამოსვლა და გახდეს ცალმხრივი, რადგან წერეთლის ქუჩა არის ძალიან ვიწრო და მოსახლეობის უმეტესობაც იგივეს ითხოვს, ან რამოდენიმე ადგილზე უნდა მოეწყოს „მწოლიარე პოლიციელი“;
4. ზაქათლის ქუჩაზე მეგობრობის ქუჩიდან ამოსასვლელში დაიდგას მაჩვენებელი სარკე, რომელიც მძღოლებს დაეხმარება უკეთ დაინახონ მოძრაობა ცენტრალურ ტრასაზე;
5. ცენტრალურ ტრასაზე დაიდგას ყველა ქუჩების მაჩვენებლები;
6. კინოთიატრ „სინემას“ მიმდებარედ მოეწყოს სამოქალაქო ტრანსპორტის პარკინგი;
7. ქალაქში გზაჯვარედინებზე დაიდგას ნიშნები, რომლების აღნიშნავს უპირატესი გზის მაჩვენებელს;
8. სანაპიროს ქუჩის ასასვლელთან (საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე) მოეწყოს პარკინგი;
9. საკრებულოს შენობის მოპირდაპირე მხარეს დაიხაზოს საპარკინგე ადგილი;
10. ზაქათლის ქუჩისა და რუსთაველის ქუჩის გადაკვეთაზე, ყოფილი პირველი სკოლის მხარეს, დაიდგას დგომის აკრძალვის ნიშანი, რადგან შექნიშანთან იქმნება საცობები ტაქსების დგომის გამო;
12. ე.წ. „ტაბაქსირიოს“ ბაღისა და თამარ მეფის ქუჩის რეაბილიტაციის შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნას საპარკინგე ადგილი;
13. ტყეპარკთან დაიხაზოს მანქანების გასაჩერებელი ადგილი;
14. 26 მაისის ქუჩაზე მოეწყოს პარკინგი ერთ მხარეს.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების,
ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების
კომისიის თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ვლადიმერი ალიბეგაშვილი

